

შპს ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“ (ს.ნ 419983432)

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს .

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	161674	262107	177734
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	74015	11566	59637
მარაგები	130482	194850	198664
სხვა მოკლევადიანი აქტივები	3552085	3676843	3739494
ბიოლოგიური აქტივები	486675	481093	531090
ძირითადი საშუალებები	26332515	26871585	25544296
სულ აქტივები	30737446	31498044	30250915
ვალდებულებები			
მწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	13472	16285	7765
სულ ვალდებულებები	13472	16285	7765
საკუთარი კაპიტალი			
შპს-ს კაპიტალი	34648849	34648849	34648849
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-20243095	-19485310	-18366114
გადაფასების რეზერვი	2374122	2374122	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	13944098	13944098	13960415
სულ საკუთარი კაპიტალი	30723974	31481759	30243150
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	30737446	31498044	30250915
სულ მოკლევადიანი აქტივები	235689	273674	417380
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	13472	16285	7765

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	871416	803378
მომსახურების გაწევიდან	61416	78378
სხვა	810000	725000
საერთო მოგება	871416	803378
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	6649
დასაქმებულთა ანაზღაურება	-514176	-366047
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-732978	-109194
საპროცენტო შემოსავალი	0	10076
იჯარის ხარჯი	-3000	-3000
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-312901	-347774
სულ საოპერაციო ხარჯები	-1563055	-1792000
საოპერაციო მოგება	-691639	-988622
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	-66146	-130574
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-757785	-1119196
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-757785	-1119196
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-757785	-1119196
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	31481759	30243150
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	2357805
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	30723974	31481759

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომერი 419983432, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიქმნა 2011 წლის 16 თებერვალს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ იურიდიული მისამართია: ზუგდიდი, გამსახურდიას გამზირი # 45

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, დამატებით ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა. „კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

„კომპანიის“ დირექტორი არის დავით შელია (პ/ნ19001060964); ხოლო დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტი.

ორგანიზაცია ყოველწლიურად იღებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიიდან დაფინანსებას, (სუბსიდიას) ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის და არსებული ინფრა-სტრუქტურის მოვლა-პატრონობისა და დამატებითი ახალი ინფრასტრუქტურის შექმნისთვის.

საზოგადოების შემოსავლები ძირითადად ფორმირდება იჯარით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავლებით.

საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,

საზოგადოების ძირითადი მიზანია წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მოგების მიღება.

საზოგადოება საქმიანობას ახორციელებს საკუთარი სახელით.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე. კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესაძარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ანგარიშგების მომზადებისას სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა, მსს ფასს-ების შესაბამისად, ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ანუ მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიკუთვნებით.

ანგარიშების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით და წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში, ქართულ ლარში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ვალუტა

შპს ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მონაცემები დამრგვალებულია 1 ლარამდე სიზუსტით.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს(გარდა დამატებითი ღირებულების) ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისათვის გამოყენებული სასარგებლო გამოყენების ვადები:

ჯგუფი	წლების რაოდენობა
შენობა-ნაგებობები	75-100წ.
მანქანა-დანადგარები	5-20წ.
ავეჯი, ოფისის მოწყობილობა	5-15წ.
სატრანსპორტო საშუალებები	10-15წ.

კომპანია ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმო ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილ შემოსულობას ან ზარალს ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

3.3 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

„კომპანიას 2024 წლის ბოლოს გააჩნია 3552085 ლარის დღგ-ზედმეტობა, 2011 წლიდან რომელიც უკან არ ბრუნდება. ამ თანხით შპს ახორციელებს ჩათვლებს საშემოსავლოს, დღგ-სა და ქონების გადასახდის ნაწილში.

ეს ზედმეტობა ფინანსური მდგომარეობის ფორმაში ასახულია სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში.

3.4 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც:

- ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამოიზნული მარაგის წარმოების პროცესში;
- გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

3.5 მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან

მოთხოვნები მომსახურებიდან და საიჯარო საქმიანობიდან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

3.6 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, ავანსი აისახება გრძელვადიან აქტივებში და აქტივზე კომპანიის მხრიდან კონტროლის დამყარებისთანავე გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ამასთან უნდა არსებობდეს ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

3.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულის სახსრებს საბანკო: მიმდინარე და სადეპოზიტო ანგარიშებზე.

3.8 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. დივიდენდების გატანისას გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში.

3.9 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით. ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3.10 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს კომპანიის მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას,

3.11 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო, მიმდინარე სარემონტო და საექსპლოატაციო, საკანცელარიო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტბანკში	161674	262107	177734

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურე ბიდან	74015	11566	59637
	74015	11566	59637

7. სახაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
საქონელი	16864	62393	739
სხვა სასაქ. მარაგები (დასამონტაჟებელი ბოძები თავისი სანათით და ნათურებით)	113618	132457	132457
	<u>130482</u>	<u>194850</u>	<u>198664</u>

საქონელი გამოიყენება ანაკლია-განმუხურის სანაპიროზოლზე განთავსებული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად.

8. ბიოლოგიური აქტივები

ბიოლოგიური აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

თავისი სანათით და ნათურებით)	488675	481093	531090
	<u>488675</u>	<u>481093</u>	<u>531090</u>

9. სხვა მოკლევადიანი აქტივები

დღ-ზედმეტობა	3552085	3676843	3739494
	<u>3552085</u>	<u>3676843</u>	<u>3739494</u>

შპს-ს 2011 წლიდან გააჩნია დღ-ს ზედმეტობა რომელიც უკან არ ბრუნდება, მაგრამ აქვს ჩათვლის უფლება საშემოსავლოსა და ქონების გადასახდის ნაწილში.

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საბალანსო ლირებულ ება	შენიშვნა- ნაგებობები	დაუმთავ რებელი მშენებლო ობა	მანქან ა- დანა დგარ ები	ოფისი ს ალჭურ ვილობ ა და ოფისი ს ინვენტ არ	ავიჯი და სხვა ინვენტ არი	სატრანსპო რტო საშუალებე ბი	ბიოლოგ იური აქტივები	სხვა ძირითად ი საშუალო ებები	ჯამი
31.12.2022	22103262	3105021	11724	3843	11567	181908	531090	126971	26075386
31.12.2023	23390191	3033444	28204	26981	77502	188167	481093	127096	27352678
31.12.2024	22895515	3031844	35776	23611	64580	176201	486675	104988	26819190

ძირითადი საშუალებები მოიცავს ძირითადად ანაკლიის ბულვარის სანაპიროზე განთავსებულ და ნაწილობრივ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ უზუფრუქტით გადმოცემულ განმუხურის სანაპიროს ინფრასტრუქტურას, კერძოდ დაუმთავრებელ მშენებლობა მოიცავს ანაკლიის კაფე-რესტორნის მშენებლობას, რომელიც დაწყებულია 2011 წელს და საბალანსო ღირებულება შეადგენს 3030045 ლარს, განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 1584622 ლარი, განმუხურის ამფითეატრს ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 1447975 ლარი. უზუფრუქტით გადმოცემული ქონება: ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდი თავისი ლაზერული განათებით ნარჩენი საბალანსო ღირებულება-11757327 ლარი და კაპიტალური კაფეები 281466 ლარი.

11. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	13472	16285	7765
	13472	16285	7765

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები შედგება ძირითადად ელ. ენერგიის, საწვავის, ინტერნეტისა და სხვა დეკემბრის ოპერაციებზე დარიცხული გადასახადებისაგან, რომლებიც იფარება მომდევნო წლების იანვრის თვეში.

12. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
კაპ იტალი შპს-ში	34648849	34648849	34648849
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	(20243095)	(19485310)	(18366114)
გადაფასების რეზერვი	2374122	2374122	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	13944098	13944098	13944098
სულ საკუთარი კაპიტალი	30723974	31481759	30243150

2023 წელს შპს-ში განხორციელდა განულებული ღირებულების მაგრამ ფუნქციონირებადი ძირითადი საშუალებების გადაფასება(აფასება), რომელმაც 2023 წელს შეადგინა 2374122 ლარი.

13. ადმინისტრაციული, საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული, საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

საოპერაციო ხარჯები	2024 წელი	2023 წელი
ჰიგიენური საშუალებების ხარჯი	2006	1640
საკანცელარიო საქონლის ხარჯი	1083	1492
სატრანსპ. საშუალების მიმდინარე რემონტის ხარჯი	6826	17349
ტრანსპორტისა და საკრეჭ-სათიბი აპარატურის, ბალახის საკრეჭი ტრაქტორის საწვავის ხარჯი	26527	24258
ძირიადი საშუალების, რემონტის დანახარჯები	117577	116731
საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების ცვეთა	732978	1091904
დარიცხული ხელფასი	514176	366047
საპენსიო ხარჯი	6987	5165
ელ.ენერგიის ხარჯი	78872	44432
წყალარინების ხარჯი	1032	91
საკომუნიკაციო ხარჯი (საფოსტო მომსახურება და სხვა)	20	0
სასმელი წყლის ხარჯი	732	651
ინტერნეტის ხარჯი	1150	763
ბრენდირებული მაისურების, კეპების და უნიფორმების შეძენის ხარჯი	0	2085

პრინტერის/ქსეროქსის კარტრიჯების ხარჯი	75	80
ქონების გადასახადი	20608	21510
ბანკის მომსახურება	347	409
აუქციონის ხარჯი	420	678
რეესტრის ხარჯი	325	150
სატენდერო მოსაკრებელი	200	475
ფართის იჯარის ხარჯი	3000	3000
აუდიტორული მომსახურება	7216	12560
ტრანსპორტის იჯარა(ექსკავატორი, ამწეკალათა, სატვირთო)	9310	15895
სამეურნეო ხარჯი	14915	15474
ტრენინგის ხარჯი	297	
პროექტირების ხარჯი		900
მოთიბვის სამუშაოების ხარჯი		8466
მცენარეების დაცვის საშუალებების შეძენის ხარჯი	7532	9182
სეზონის გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიების ხარჯი		8466
სულ საოპერაციო ხარჯები	1563055	1808725
არასაოპერაციო ხარჯები – მათ შორის:		
გაფუჭებული ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ნარჩენი ღირებულებით	21284	26621
ძირითადი საშუალების გასვლა(მერიაზე უსასყიდლოდ გადაცემა)	79745	78624
დებიტორული დავალიანების ჩამოწერა		25329
სულ არასაოპერაციო ხარჯები	101029	130574

14. შემოსავლები

შემოსავლები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავლები იჯარიდან	61416	78378
მერიიდან დაფინანსება(სუბსიდია)	810000	725000
სულ საოპერაციო შემოსავლები	871416	803378

ბანკიდან სადეპოზიტო სარგებელი	13084	10076
ელ. აუქციონის საგარანტიო თანხის დათმობა	2953	1247
სახელშეკრულებო ვადის დარღვევით მიღებული შემოსავლები	12239	582
უსასყიდლო მოწოდება	6200	4820
ძირითადი საშუალების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის ჯართის ღირებულება.	407	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	34883	16725

15. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რომელიც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ .
შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ს დირექტორი:

/დ. შელია/

